დანართი №1

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ

საგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება, საფეხური
ფილოსოფია

საბაკალავრო საფეხური

უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების სახელწოდება

სსიპ - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი

შეფასების თარიღ(ებ)ი

15.11.2022
დასკვნის წარდგენის თარიღი
13.12.2022

თბილისი

შინაარსი

I. ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ 4

II. აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის შემაჯამებელი დასკვნა 5

III. პროგრამის შესაბამისობა აკრედიტაციის სტანდარტებთან 6

1. საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა 6

2. სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა 10

3. სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა 14

4. სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა 16

5. სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები 22

ინფორმაცია უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების შესახებ[1]

დაწესებულების სახელწოდება ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმის მითითებით	სსიპ - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი
დაწესებულების საიდენტიფიკაციო კოდი	245428158
დაწესებულების სახე	უნივერსიტეტი

ექსპერტთა ჯგუფის წევრები

თავმჯდომარე (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა)	მაკა ლაშხია, სსიპ-ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი, საქართველო
წევრი (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა)	მირიან ებანოიძე, სსიპ-აკაკი წერეთლის სახელობის ქუთაისის უნივერსიტეტი, საქართველო
წევრი (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა)	ქრისტინე ჩიხლაძე, სსიპ-ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, საქართველო
წევრი (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა)	მარიამ მაჭავარიანი, სსიპ-ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი, საქართველო

[1] ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის შემთხვევაში: მიეთითება ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის განმახორციელებელი დაწესებულებები; „დაწესებულების საიდენტიფიკაციო კოდის“ და „დაწესებულების სახის“ მითითება არ არის სავალდებულო უცხო ქვეყნის კანონმდებლობის შესაბამისად აღიარებული უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებ(ებ)ისათვის.

I. ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ

საგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება (ქართულად)	ფილოსოფია
საგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება (ინგლისურად)	Philosophy
უმაღლესი განათლების საფეხური	ბაკალავრიატი
მისანიჭებელი კვალიფიკაცია	ჰუმანიტარული მეცნიერებების ბაკალავრი ფილოსოფიაში/Bachelor of Arts (BA) in Philosophy
დეტალური სფეროს დასახელება და კოდი	ფილოსოფია და ეთიკა - 0223
ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის საგნის/საგნების/საგნობრივი ჯგუფის სწავლების უფლების მითითება	
სწავლების ენა	ქართული
ECTS კრედიტების რაოდენობა	240
პროგრამის სტატუსი (აკრედიტებული/ არააკრედიტებული/ პირობით აკრედიტებული/ახალი/საერთაშორისო აკრედიტაცია) შესაბამისი გადაწყვეტილების მითითებით (ნომერი, თარიღი)	აკრედიტებული 04.11.2011 N242
პროგრამაზე მიღების დამატებითი პირობები (სახელოვნებო-შემოქმედებითი ან/და სასპორტო საგანმანათლებლო პროგრამის შემთხვევაში შემოქმედებითი ტური/შიდა კონკურსის გავლა, ან სხვა პროგრამის შემთხვევაში, პროგრამაზე მიღების/პროგრამის განხორციელების სპეციფიური მოთხოვნები)	

II. აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის შემაჯამებელი დასკვნა

- **ზოგადი ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ[2]**

ფილოსოფიის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის მიზანია სტუდენტებს მისცეს ფართო ცოდნა, უპირველეს ყოვლისა, ფილოსოფიის ბაზისურ დარგებში. ამ მიზნით პროგრამაში ფილოსოფიის ისტორიის კურსები (ანტიკური ფილოსოფია, შუა საუკუნეების ფილოსოფია, აღორძინების ეპოქის ფილოსოფია, ახალი დრო, გერმანული კლასიკური ფილოსოფია, ქართული ფილოსოფიის ისტორია, თანამედროვე ქართული ფილოსოფია, გერმანული კლასიკური ფილოსოფია, XX საუკუნის ევროპული ფილოსოფია) ლოგიკურად, ეტაპების მიხედვითაა გადანაწილებული სწავლების პირველივე წლიდან მეოთხე წლის ჩათვლით.
რეაკრედიტაციისთვის მომზადებული ფილოსოფიის საბაკალავრო პროგრამა აგებულია კლასიფიკატორის ჩარჩოს შესაბამისად სწავლის ძირითადი სფეროს გათვალისწინებით. პროგრამის სტრუქტურა/ECTS მოცულობა შეადგენს 240 (ECTS) კრედიტს. 180 ECTS კრედიტი ძირითადი სწავლის სფეროს დატვირთვაა (major) - აქედან:

- 120 ECTS კრედიტი ძირითადი სპეციალობის სავალდებულო კურსები;
- 40 ECTS კრედიტი სავალდებულო საუნივერსიტეტო;
- 10 ECTS კრედიტი სპეციალობის არჩევითი კურსები;
- 10 ECTS საბაკალავრო ნაშრომი;
- 60 ECTS კრედიტი დამატებითი სპეციალობა (minor)/ფილოსოფიის სპეციალობის თავისუფალი არჩევითი კურსები/საუნივერსიტეტო არჩევითი კურსები.

საბაკალავრო პროგრამაში ჩართულია 12 აკადემიური პერსონალი და 9 მოწვეული მასწავლებელი. პროგრამა გათვლილია 20 სტუდენტის მიღებაზე.

- **აკრედიტაციის ვიზიტის მიმოხილვა**

ექსპერტთა ჯგუფის მიერ საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის "ფილოსოფია" შეფასება განხორციელდა 2022 წლის 15 ნოემბერს.
ვიზიტის განმავლობაში ექსპერტები, წინასწარ შემუშავებული და დაწესებულებასთან შეთანხმებული დღის წესრიგის შესატყვისად, გაესაუბრნენ უნივერსიტეტის პერსონალს: უნივერსიტეტისა და ფაკულტეტის ადმინისტრაციას, პროგრამის თვითშეფასების ჯგუფს, პროგრამის ხელმძღვანელებს, აკადემიურ და მოწვეულ პერსონალს, პროგრამის სტუდენტებსა და კურსდამთავრებულებს, ბიბლიოთეკარსა და პოტენციურ დამსაქმებლებს. ექსპერტთა ჯგუფმა, ბიბლიოთეკარის დახმარებით, ნახა, როგორ მუშაობს უსდ-ის ბიბლიოთეკა და დაათვალიერა ინფრასტრუქტურა. აკრედიტაციის პროცესი მიმდინარეობდა მშვიდ გარემოში. ვიზიტი კარგად იყო ორგანიზებული. დღის წესრიგით

[2] პროგრამასთან დაკავშირებული ზოგადი ინფორმაციის მიმოხილვისას, მიზანშეწონილია ასევე წარმოდგენილი იყოს საგანმანათლებლო პროგრამის რაოდენობრივი მონაცემების ანალიზი.

გათვალისწინებული შეხვედრები დროულად, შეფერხებების გარეშე გაიმართა. ექსპერტთა ჯგუფს საშუალება ჰქონდა ობიექტურად შეეფასებინა საგანმანათლებლო პროგრამა თითოეული სტანდარტის მიხედვით.

- **საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტებთან შესაბამისობის მოკლე მიმოხილვა**

ბსუ-ს საბაკალავრო პროგრამა სრულ შესაბამისობაშია ხუთიდან ოთხი სტანდარტის (კერძოდ, სტანდარტები N2, N3, N4, N5) მოთხოვნებთან და მეტწილ შესაბამისობაშია ერთი სტანდარტის (სტანდარტი N1) მოთხოვნებთან.
ექსპერტთა ჯგუფის მიერ გაანალიზებული თითოეული სტანდარტი, რეკომენდაცია თუ რჩევები კონკრეტული კომპონენტების შესაბამისადაა წარმოდგენილი. ჯგუფის წევრთა მოსაზრებით, რეკომენდაციებისა და რჩევების გათვალისწინება ბსუ-ს ფილოსოფიის საბაკალავრო პროგრამას კიდევ უფრო დახვეწს და, ზოგადად, დარგის მეტად განვითარებას შეუწყობს ხელს.

რეკომენდაციები

- რეკომენდებულია, კურიკულუმის რუკა პროგრამის აკადემიური გუნდის მიერ უფრო დეტალურად იქნას შესწავლილი, რაშიც მოიაზრება თითოეულ სწავლის შედეგზე გამსვლელი სავალდებულო სასწავლო კურსის დაზუსტება, მათი რაოდენობის შემცირება და შინაარსობრივი უზუსტობების აღმოფხვრა;

- რეკომენდებულია მკაცრად განისაზღვროს თითოეული კურსისთვის საკონტაქტო საათების რაოდენობა მათი სპეციფიკის გათვალისწინებით;
- რეკომენდებულია სასწავლო სილაბუსებში შეფასების კრიტერიუმი მორგებულ იქნას კურსის სპეციფიკასთან;
- რეკომენდებულია ფილოსოფიის საბაკალავრო პროგრამის ზოგიერთ სილაბუსში დაზუსტდეს ძირითადი და დამატებითი ლიტერატურის სია;
- რეკომენდებულია, ფაკულტეტისა და ცენტრალური ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურებმა მინიმუმამდე დაიყვანონ სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმებში არსებული ხარვეზები და ამ მიზნით, გააქტიურონ მუშაობა პროგრამის აკადემიურ გუნდთან ტრენინგებისა თუ სამუშაო შეხვედრების ფარგლებში;

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

- სასურველია არჩევითი კურსების შეთავაზება მომიჯნავე დისციპლინებიდან;
- სასურველია, მიღების წინაპირობებში მითითებული კანონებით, ბრძანებებითა და ნორმატიული აქტებით განსაზღვრული მოთხოვნები დაკონკრეტდეს და ნათლად გაიწეროს;
- სასურველია უნივერსიტეტმა გააძლიეროს მუშაობა სტუდენტების საერთაშორისო გაცვლით პროგრამებში მონაწილეობის მიზნით;

- სასურველია დაწესებულების მხრიდან პროფესორ-მასწავლებელთა დატვირთვა იყოს ადექვატური მათ სასწავლო და კვლევით საქმიანობასთან;
- სასურველია ერთიანი საუნივერსიტეტო ბიბლიოთეკის ბაზის შექმნა;
- სასურველია, პროგრამის შრომის ბაზრის მოთხოვნებთან შესაბამისობის, განვითარებისა და მაღალკვალიფიციური სპეციალისტების მომზადების მიზნით, სამომავლოდ ჩატარდეს სიღრმისეული კვლევა გამართული მეთოდოლოგიით.
- სასურველია, გარე შემფასებლის მიერ წარმოდგენილი დასკვნა წარმოადგენდეს პროგრამის, მისი შინაარსის, სტრუქტურისა და სწავლებისა თუ შეფასების მეთოდოლოგიის დეტალურ და სიღრმისეულ ანალიზს. ამავე მიზნით, სასურველია შემუშავდეს გარე შეფასების განხორციელების დეტალური მეთოდოლოგია.

- **საუკეთესო პრაქტიკის მოკლე მიმოხილვა (არსებობის შემთხვევაში)[3]**

  უნივერსიტეტში დანერგილია მრავალფუნქციური ელექტრონული პორტალი, რომელიც გარდა იმისა, რომ ამცირებს ბიოროკრატიას და ამარტივებს დაწესებულებაში სასწავლო პროცესის ორგანიზების, სტატისტიკური მონაცემების შეგროვებისა თუ გაანალიზების პროცესებს, ხელს უწყობს ადმინისტრაციას, აკადემიურ პერსონალს, სტუდენტებს, კურსდამთავრებულებსა და დამსაქმებლებს შორის კომუნიკაციასა და ინფორმაციის გაცვლას.

- **ინფორმაცია არგუმენტირებული პოზიციის გაზიარების, ან არ გაზიარების არგუმენტაციის თაობაზე**

დაწესებულების მხრიდან წარმოდგენილი არგუმენტირებული პოზიციის საფუძველზე ექსპერთა ჯგუფის მიერ დაკორექტირდა დასკვნის პროექტი. კერძოდ, 5.2. ქვესტანდარტის (გარე შეფასება) რეკომენდაცია შეიცვალა რჩევით. შესაბამისად, 5 სტანდარტი - სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები - შესაბამისობაშია მოთხოვნებთან. დასკვნაში წარმოდგენილი სხვა რეკომენდაციებიუცვლელად რჩება.

- **ხელახალი აკრედიტაციისას, მნიშვნელოვანი მიღწევებისა და/ან პროგრესის მოკლე მიმოხილვა (ასეთის არსებობის შემთხვევაში)**

[3] პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული, ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამისათვის

III. პროგრამის შესაბამისობა აკრედიტაციის სტანდარტებთან

1. საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა

პროგრამას აქვს ნათლად ჩამოყალიბებული მიზნები და სწავლის შედეგები, რომლებიც ლოგიკურადაა ერთმანეთთან დაკავშირებული. პროგრამის მიზნები შეესაბამება უსდ-ს მისიას, მიზნებსა და სტრატეგიულ გეგმას. პროგრამის გაუმჯობესებისთვის მუდმივად ფასდება პროგრამის სწავლის შედეგები. პროგრამის შინაარსი და თანმიმდევრული სტრუქტურა უზრუნველყოფს დასახული მიზნებისა და მოსალოდნელი სწავლის შედეგების მიღწევას.

1.1 პროგრამის მიზნები

პროგრამის მიზნები ითვალისწინებს სწავლის სფეროს, საფეხურისა და საგანმანათლებლო პროგრამის თავისებურებებს და ასახავს, თუ რა ცოდნის, უნარებისა და კომპეტენციების მქონე კურსდამთავრებულს ამზადებს პროგრამა და რა წვლილი შეაქვს მას სფეროსა და საზოგადოების განვითარებაში.

საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

საბაკალავრო პროგრამის მიზნები ნათლად არის ჩამოყალიბებული, რეალისტური და მიღწევადია. პროგრამაში ასახულია, რა წვლილი შეაქვს მას საზოგადოების განვითარებაში. კერძოდ, იგი მიზნად ისახავს, ცოდნასა და ღირებულებაზე დაფუძნებული სამოქალაქო საზოგადოების აქტიური წევრების მომზადებას, დემოკრატიული ღირებულებების მატარებელი თავისუფალი პიროვნების ჩამოყალიბებას. მოცემული საბაკალავრო პროგრამა სრულიად შეესაბამება როგორც უნივერსიტეტის ზოგად მისიას, მიზნებსა და სტრატეგიებს, ასევე ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის სტრატეგიას. ფილოსოფიის საბაკალავრო პროგრამა, თავისი მიზნებით, შინაარსითა და სწავლის შედეგებით, ითვალისწინებს შრომის ბაზრის მოთხოვნებს, რაც დასტურდება წარმოდგენილი დოკუმენტაციით და ინტერვიუს შედეგებით.

პროგრამის შემუშავებისას გამოყენებულ იქნა ფილოსოფიის დარგობრივი მახასიათებელი. საბაკალავრო პროგრამის მიზნები საჯარო და ხელმისაწვდომია, რაც დასტურდება უნივერსიტეტის ვებგვერდზე მოცემული ინფორმაციით. ფილოსოფიის საბაკალავრო პროგრამის მიზნები გაზიარებულია პროგრამაში ჩართული პირების მიერ, რაც დასტურდება ინტერვიუს მეშვეობით.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- საგანმანათლებლო პროგრამა;
- ბსუ-ს აკადემიური საჭოს 2021 წლის 30 დეკემბრის დადგენილება N 06-01/141 „ბსუ-ს ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტზე ზოგიერთი საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავების მიზნით სამუშაო ჯგუფების შექმნის შესახებ“

- ბსუ-ს რექტორის ბრძანება „ბსუ-ს ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტებზე კურიკულუმის კომიტეტის შემადგენლობისა და მუშაობის გეგმის დამტკიცების შესახებ“
- ფილოსოფიის დეპარტამენტის სამუშაო ჯგუფის სხდომის ოქმები
- ბსუ-ს ინტერნაციონალიზაციის პოლიტიკა
- სამეცნიერო-საგანმანათლებლო დაწესებულებებთან თანამშრომლობის მემორანდუმები
- სტუდენტთა გამოკითხვის შეფასება და ანალიზი
- კურსდამთავრებულთა გამოკითხვის შეფასება და ანალიზი
- დამსაქმებელთა გამოკითხვის შეფასება და ანალიზი
- პროფესორ-მასწავლებელთა გამოკითხვის შეფასება და ანალიზი
- ბსუ-ს მისია და სტრატეგიული განვითარების გეგმა:
- ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის დებულება
- ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის სტრატეგიული განვითარების გეგმა.
- ბსუ-ს აკადემიური საჭოს 2017 წლის 15 ივნისის დადგენილება # 37 ბსუ-ს აკადემიური უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების შემუშავების, შეფასებისა და განვითარების უზრუნველყოფის წესის დამტკიცების შესახებ
- ბსუ-ს აკადემიური საბჭოს 2022 წლის 14 ივლისის დადგენილება ბსუ-ს საგანმანათლებლო პროგრამების შემუშავების, დამტკიცებისა და განვითარების წესის შესახებ.
- უნივერსიტეტის ადმინისტრაციასთან, თვითშეფასების ჯგუფთან, პროგრამის ხელმძღვანელებთან, სტუდენტებთან, პოტენციურ დამსაქმებლებთან ინტერვიუს შედეგები.
- ბსუ-ს მისია

რეკომენდაციები:

- წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის, რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

შეფასება

გთხოვთ, შეაფასოთ სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან პროგრამის შესაბამისობა

კომპონენტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
1.1 პროგრამის მიზნები	■	□	□	□

1.2 პროგრამის სწავლის შედეგები

- პროგრამის სწავლის შედეგები ლოგიკურად არის დაკავშირებული პროგრამის მიზნებთან და სწავლის სფეროს თავისებურებებთან.
- პროგრამის სწავლის შედეგები აღწერს იმ ცოდნას, უნარებს, ან/და პასუხისმგებლობას და ავტონომიურობას, რომლებსაც სტუდენტი იძენს პროგრამის დასრულებისას.

საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

საბაკალავრო პროგრამის თვითშეფასების ანგარიშის მიხედვით, სწავლის შედეგები შეესაბამება პროგრამის მიზნებს. კერძოდ, პროგრამის დასრულების შემდეგ ბაკალავრი ავლენს ფართო ცოდნას: ფილოსოფიის წარმოშობის წინაპირობების, ფილოსოფიური ცნებებისა და კატეგორიების, ფილოსოფიის დარგების: სოციალური ფილოსოფიის, პოლიტიკური ფილოსოფიის, კულტურის ფილოსოფიის, ეთიკის, ესთეტიკის, ლოგიკის და ა. შ. შესახებ; ჩამოყალიბებული აქვს შემდეგი უნარები, კერძოდ: კურსდამთავრებული შეძლებს ფილოსოფიის ზოგადი ცოდნის დემონსტრირებას, ამ ცოდნის აუცილებლობის ჩვენებას და სხვა სფეროებთან პარალელებს; სხვადასხვა დისციპლინიდან მიღებული იდეებისა და ათვისებული ცოდნის შედარებასა და ურთიერთშეპირისპირებას., რთული და წინააღმდეგობრივი დებატებისას საკუთარი აზრის ლოგიკურ ჩამოყალიბებას და მის ადეკვატურ გამოყენებას კონკრეტულ შემთხვევაში. ფილოსოფიური ტექსტების ინტერპრეტაციას, სპეციფიკური ფილოსოფიური ტერმინოლოგიის ადეკვატურ გამოყენებას შესაბამის კონტექსტში; საკუთარი აზრის დასაბუთებას შესაბამისი არგუმენტებით; კურსდამთავრებული ასევე იყენებს: საბიბლიოთეკო რესურსებს, ელექტრონულ სამეცნიერო ბაზებსა და პლატფორმებს, თანამედროვე საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიებს დარგის სამეცნიერო სიახლეების გაცნობისთვის, ზეპირი და წერილობითი კომუნიკაციისას, სამეცნიერო თემის/საბაკალავრო ნაშრომის შესრულებისთვის; წარმართავს საკუთარ პროფესიულ საქმიანობას დარგობრივი ეთიკის ძირითადი პრინციპების დაცვით, მოვალეობის და პასუხისმგებლობის გრძნობით ზნეობრივი ქცევის ნორმებისადმი, პატივს სცემს ჰუმანიზმს და დემოკრატიულ ღირებულებებს.

ფილოსოფიის საბაკალავრო პროგრამის სწავლის შედეგები არის მიღწევადი, გაზომვადი და რეალისტური, რაც დასტურდება შრომის ბაზრის ანგარიშით და დამსაქმებელთა ფოკუს-ჯგუფის, სტუდენტების და კურსდამთავრებულების კვლევის ანგარიშით. პროგრამა შესაბამისობაშია ფილოსოფიის დარგობრივ მახასიათებელთან. პროგრამის შემუშავებაში ჩართული იყო როგორც აკადემიური, ასევე მოწვეული პერსონალი, სტუდენტები და კურსდამთავრებულები, რაც დასტურდება აღნიშნულ პირებთან ინტრვიუს მეშვეობით. პროგრამის სწავლის შედეგები საჯაროა და ხელმისაწვდომია უნივერსიტეტის ვებგვერდსა და სტუდენტურ პორტალზე.

უნივერსიტეტის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტების შესწავლით და ინტერვიუს შედეგებით გამოიკვეთა, რომ პროგრამის სწავლის შედეგების შეფასება განხორციელდა თანმიმდევრულად, გამჭვირვალედ, უნივერსიტეტში მოქმედი წესის შესაბამისად. აკრედიტაციის მიზნით წარდგებილ პროგრამას ერთვის პროგრამის შედეგების რუკა და პროგრამის სამიზნე ნიშნულების ცხრილი.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- საგანმანათლებლო პროგრამა;
- ფილოსოფიის უმაღლესი განათლების შესახებ დარგობრივი მახასიათებელი;
- დამსაქმებლების კითხვარი;
- ფილოსოფიის საგანმანათლებლო პროგრამის მიზნებისა და სწავლის შედეგების რუკა;
- კურიკულუმის რუკა;
- სტუდენტთა და კურსდამთავრებულთა გამოკითხვის შედეგები;
- აკადემიური და მოწვეული პერსონალის გამოკითხვის შედეგები;
- სამუშაო ჯგუფის ოქმები;
- ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის წარმომადგენლებთან, პროგრამის ხელმძღვანელთან და განმახორციელებლებთან ინტერვიუს შედეგები.

რეკომენდაციები:

- წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის, რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

- არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

შეფასება

გთხოვთ, შეაფასოთ სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან პროგრამის შესაბამისობა

კომპონენტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
1.2 პროგრამის სწავლის შედეგები	■	□	□	□

1.3 პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმი

- განსაზღვრულია პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმები. პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების პროცესი მოიცავს სწავლის შედეგების გასაზომად საჭირო მონაცემთა განსაზღვრას, შეგროვებასა და ანალიზს.
- პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების ანალიზი გამოიყენება პროგრამის გასაუმჯობესებლად.

საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

ფილოსოფიის საბაკალავრო პროგრამის სპეციფიკის გათვალისწინებითა და უნივერსიტეტში არსებული "საგანმანათლებლო პროგრამების შემუშავების, დამტკიცებისა და განვითარების წესის" საფუძველზე, რომელიც განსაზღვრავს დაწესებულებაში საგანმანათლებლო პროგრამების როგორც დაგეგმვის, შემუშავების, ისე შეფასებისა და განვითარების მეთოდოლოგიას, შემუშავებულია სააკრედიტაციოდ წარმოდგენილი პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმი. წარმოდგენილი დოკუმენტაციის ანალიზისა და ინტერვიუების საფუძველზე დასტურდება, რომ ფილოსოფიის საგანმანათლებლო პროგრამის სწავლის შედეგების შეფასება დაწესებულებაში ხორციელდება გამჭვირვალედ, დაინტერესებული მხარეების ჩართულობით, სწავლის შედეგების შეფასების პირდაპირი და არაპირდაპირი მეთოდების გამოყენებით. უფრო კონკრეტულად კი, პროგრამის აკადემიური გუნდისა და შესაბამისი ადმინიტრაციული ერთეულების ჩართულობით შეგროვებული და გაანალიზებული პროგრამის სტატისტიკური მაჩვენებლები (მაგ., სტუდენტთა აკადემიური მოსწრება), შემუშავებულია პროგრამის მიზნებისა და სწავლის შედეგების შესაბამისობის დოკუმენტი, კურიკულუმის რუკა და სწავლის შედეგების შეფასების რუკა. ამასთან, ჩატარებულია სტუდენტთა, კურსდამთავრებულთა, აკადემიური პერსონალისა და დამსაქმებელთა გამოკითხვები, მიღებული შედეგები კი ასახულია საგანმანათლებლო პროგრამის შინაარსსა და განხორციელების სპეციფიკაში.

მნიშვნელოვანია აღინიშნოს, რომ პროგრამის კურიკულუმის რუკა, სადაც ნაჩვენებია ძირითადი/კვალიფიკაციაზე გამსვლელი სასწავლო კურსებისა და პროგრამის სწავლის შედეგების შესაბამისობა, საჭიროებს კიდევ უფრო ღრმა ანალიზსა და გარკვეული ტიპის მოდიფიკაციას. სახელდობრ, რუკის მიხედვით იკვეთება, რომ პროგრამის პირველ და მეორე სწავლის შედეგზე გადის ძირითადი სასწავლო კურსების თითქმის 70%, რაც შესაძლოა მიუთითებდეს პროგრამის სწავლის შედეგების ზოგად ხასიათზე ან/და კურიკულუმის რუკის უფრო მეტად დეტალიზაციისა და დაკონკრეტების საჭიროებაზე. ასევე, აღსანიშნავია, რომ შემუშავებულია 2 კურიკულუმის რუკა. მეორე რუკა გვაჩვენებს სწავლის შედეგებზე გამსვლელ სავალდებულო სასწავლო კურსებს შესაბამისი დონეების (1-გაცნობა, 2-გაღრმავება, 3-განმტკიცება) მითითებით. წარმოდგენილ კურიკულუმის რუკებს შორის შენიშნება შინაარსობრივი შეუსაბამობები. მაგ., სწავლის შედეგებზე წარმოდგენილი რუკების მიხედვით სხვადასხვა სასწავლო კურსები გადიან. რეკომენდებულია, კურიკულუმის რუკა პროგრამის აკადემიური გუნდის მიერ უფრო დეტალურად იქნას შესწავლილი, რაშიც მოვიაზრებთ თითოეულ სწავლის შედეგზე გამსვლელი სავალდებულო სასწავლო კურსების დაზუსტებას, მათი რაოდენობის შემცირებას და უზუსტობების აღმოფხვრას.

დაწესებულების მიერ სწავლის შედეგების შეფასების მიზნით დადგენილია შედეგების მიღწევის სამიზნე ნიშნულებიც. ამასთან, იდენტიფიცირებულია სასწავლო კურსებში არსებული შეფასების ფორმები და მეთოდები, რომელთა მიხედვითაც მოხდება სწავლის შედეგების მიღწევის პირდაპირი შეფასება.

პროგრამის გუნდის მიერ, სწავლის შედეგების არაპირდაპირი მეთოდით შეფასების მიზნით დაგეგმილია სტუდენტთა თვითშეფასებითი აქტივობები, რაც მოიაზრებს სწავლების პირველ და მეოთხე წელს სტუდენტთა მიერ რეფერამეტის მომზადებას კონკრეტულ დარგობრივ თემებზე. აკადემიური პერსონალის მიერ მოხდება აღნიშული მასალების

შესწავლა და სტუდენტთა ცოდნისა და დარგობრივი უნარების განვითარებაზე დაკვირვება. თვითშეფასები ანგარიშით, თანდართული დოკუმენტებითა და გასაუბრებებით დასტურდება აღნიშნული მეთოდის აპრობირება ფილოსოფიის საბაკალავრო პროგრამისთვის.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- შედეგების რუკა: პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმები - დანართი: 1.3.1;
- შედეგების რუკა: გაცნობა -გაღრმავება-განმტკიცება - დანართი: 1.3.2
- ბსუ-ს სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესის დამტკიცების შესახებ“ ბსუ-ს აკადემიური საბჭოს 2015 წლის 8 ოქტომბრის №111 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ. დადგენილება № 06-01/39. 03 ივნისი 2022 . იხ. ბმული: https://www.bsu.edu.ge/text_files/ge_file_16845_1.pdf - დანართი: 1.3.3;
- დამსაქმებელთა გამოკითხვა - დანართი: 1.3.4;
- კურსდამთავრებულთა გამოკითხვა - დანართი: 1.3.5;
- გამოკითხვა სწავლის შედეგების შეფასებასთან დაკავშირებით (I და IV კურსის სტუდენტები) - დანართი: 1.3.6;
- გამოკითხვა სწავლის შედეგების შეფასებასთან დაკავშირებით (აკადემიური და მოწვეული პერსონალი) - დანართი - 1.3.7;
- შეფასებითი წერა (ფილოსოფიის სპეციალობის I კურსის სტუდენტები) - დანართი 1.3.8;
- შეფასებითი წერა I კურსი - დანართი 1.3.9;
- ფაკულტეტის ხარისხის სამსახურის მონიტორინგი - დანართი 1.3.10;
- თვითშეფასების ანგარიში;
- ინტერვიუს შედეგები.

რეკომენდაციები:

- რეკომენდებულია, კურიკულუმის რუკა პროგრამის აკადემიური გუნდის მიერ უფრო დეტალურად იქნას შესწავლილი, რაშიც მოიაზრება თითოეულ სწავლის შედეგზე გამსვლელი სავალდებულო სასწავლო კურსის დაზუსტება, მათი რაოდენობის შემცირება და შინაარსობრივი უზუსტობების აღმოფხვრა.

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

- არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

შეფასება

გთხოვთ, შეაფასოთ სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან პროგრამის შესაბამისობა

კომპონენტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
1.3 პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმი	☐	■	☐	☐

1.4. საგანმანათლებლო პროგრამის სტრუქტურა და შინაარსი

- პროგრამა შედგენილია უსდ-ში მოქმედი საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის, შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგიის გამოყენებით.
- პროგრამის სტრუქტურა თანმიმდევრული და ლოგიკურია. შინაარსი და სტრუქტურა უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას. მისანიჭებელი კვალიფიკაცია შესაბამისობაშია პროგრამის შინაარსთან და სწავლის შედეგებთან.

საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

ფილოსოფიის საბაკალავრო პროგრამა პროგრამის სამუშაო ჯგუფის მიერ მომზადდა ბსუ-ში მოქმედი აკადემიური უმაღლესი განათლების საგანმანათლებლო პროგრამების შემუშავების, შეფასებისა და განვითარების უზრუნველყოფის წესის და შესაბამისი პროცედურების დაცით. შემუშავებული პროგრამა დამტკიცდა ფაკულტეტისა და აკადემიურ საბჭოზე.

საბაკალავრო პროგრამის შინაარსი და სტრუქტურა თანმიმდევრული და ლოგიკურია, შესაბამისობაშია მისანიჭებელ კვალიფიკაციასთან და უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას. პროგრამის შესახებ ინფორმაცია საჯარო და ხელმისაწვდომია უსდ-ის ვებგვერდის საშუალებით; საბაკალავრო პროგრამის მოცულობა: 240 კრედიტია, საიდანაც 180 კრედიტი ეთმობა ძირითად სწავლის სფეროს, ხოლო 60 კრედიტი დამატებით სპეციალობას (minor) ან ფილოსოფიის სპეციალობის თავისუფალი არჩევით კურსებს.

გამომდინარე იქიდან, რომ მთელი პროგრამა თითქმის მხოლოდ ფილოსოფიის სალექციო კურსებს ეთმობა, სასურველია ფილოსოფიის სტუდენტებისათვის არჩევითი კურსების სახით მომიჯნავე დისციპლინებიდან იყოს კურსები შეთავაზებული.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- საგანმანათლებლო პროგრამა და სილაბუსები;
- თვითშეფასების ანგარიში;

- პროგრამის ხელმძღვანელთან, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის წარმოამდგენელთან, აკადემიურ და მოწვეულ პერსონალთან ინტერვიუები

რეკომენდაციები:

- წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის, რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

- სასურველია არჩევითი კურსების შეთავაზება მომიჯნავე დისციპლინებიდან

შეფასება

გთხოვთ, შეაფასოთ სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან პროგრამის შესაბამისობა

კომპონენტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
1.4 საგანმანათლებლო პროგრამის სტრუქტურა და შინაარსი	■	□	□	□

1.5 სასწავლო კურსი/საგანი

- სასწავლო კურსის/საგნის შინაარსი და კრედიტების რაოდენობა უზრუნველყოფს ამ კურსით/საგნით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევას.
- ძირითადი სფეროს სასწავლო კურსის/საგნის შინაარსი და სწავლის შედეგები უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას.
- სილაბუსში მითითებული სასწავლო მასალა უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას.

საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

წარმოდგენილი საბაკალავრო პროგრამის თითოეული სასწავლო კურსის სწავლის შედეგები, 12 ფაქტობრივად, შეესაბამება პროგრამის სწავლის შედეგებსა და უმაღლესი განათლების შესაბამის საფეხურს. კურსის სწავლის შედეგების პროგრამის სწავლის შედეგებთან და

შესაბამის საფეხურთან შესაბამისობის უზრუნველსაყოფად არსებობს სწავლის შედეგების რუკა, რომელიც დეტალურად აღწერს, პროგრამის რომელ სწავლის შედეგ(ებ)ზე გადის ესა თუ ის მოდული და თითოეულ მოდულში შემავალი ცალკეული კურსი. რაც შეეხება არჩევითი კურსების ჩამონათვალს, მრავალფეროვანია, მოქნილია და სტუდენტს საშუალებას აძლევს, უფრო სიღრმისეულად გაეცნოს ფილოსოფიის სხსდასხვა მიმდინარეობებს თუ სკოლებს.

თითოეული სასწავლო კურსის მოცულობა განსაზღვრულია კრედიტებით. საკონტაქტო და დამოუკიდებელი საათების განსაზღვრისას ნაკლებადაა გათვალისწინებულია კურსის შინაარსი, კურსის ფარგლებში დაგეგმილი აქტივობებისა და დამოუკიდებლად შესასრულებელი დავალებების მოცულობა და შინაარსი. ამის თქმის უფლებას გვაძლევს ის, რომ ყველა კურსი კვირაში სამსაათიანია.

წარმოდგენილი დოკუმენტაციისა და პროგრამის სილაბუსების შესწავლამ აჩვენა, რომ სასწავლო კურსების შინაარსისა და სწავლის შედეგებიდან გამომდინარე, კურსებში განსაზღვრულია შესაბამისი სწავლა-სწავლების მეთოდები. თითოეული კურსის სილაბუსში აღწერილია სწავლის შედეგების შეფასების მეთოდები, კრიტერიუმები და რუბრიკები. თუმცა ზოგიერთი სასწავლო კურსში შეფასების კრიტერიუმი აცდენილია კურსის სპეციფიკას (მაგ. ზოგიერთი კურსის ფარგლებში გვხვდება ქვიზი).

კურსის სილაბუსებში მითითებულია სწავლის შედეგების მიღწევისათვის საჭირო სავალდებულო და დამხმარე რესურსები და ლიტერატურა. ზოგიერთ სილაბუსში (პოსტმოდერნის ფილოსოფია) ლიტერატურის სია ძალიან გრძელია, რაც ეჭვქვეშ აყენებს საბაკალავრო საფეხურისთვის მათი წაკითხვისა და მომზადების შესაძლებლობას. ასევე გვხვდება სასწავლო კურსებში (ესთეტიკის საფუძვლები) ლიტერატურა რუსულ ენაზე, თუმცა პროგრამის ფარგლებში მხოლოდ ინგლისური ენის შესწავლაა დაშვებული და პროგრამაზე მიღების წინაპირობაც არ ითვალისწინებს რუსული ენის ცოდნას.

კურსის სილაბუსებში მითითებული სავალდებულო და დამატებითი ლიტერატურა ხელმისაწვდომია უნივერსიტეტის ბიბლიოთეკაში, მათი ელექტრონული ვერსია განთავსებულია ბიბლიოთეკისა და სტუდენტურ პორტალზე.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- ფილოსოფიის საბაკალავრო პროგრამა;
- პროგრამაში შემავალი კურსების სილაბუსები;
- სწავლის შედეგების რუკა;
- ბიბლიოთეკის ონლაინ დათვალიერება და ბიბლიოთეკართან გასაუბრება;
- უნივერსიტეტის ვებგვერდი;
- პროგრამის განმახორციელებლ პერსონალთან და ხელმძღვანელებთან ინტერვიუები.

რეკომენდაციები:

1. რეკომენდებულია მკაცრად განისაზღვროს თითოეული კურსისთვის საკონტაქტო საათების რაოდენობა მათი სპეციფიკის გათვალისწინებით;
2. რეკომენდებულია სასწავლო სილაბუსებში შეფასების კრიტერიუმი მორგებულ იქნას კურსის სპეციფიკასთან;

3. რეკომენდებულია ფილოსოფიის საბაკალავრო პროგრამის ზოგიერთ სილაბუსში დაზუსტდეს ძირითადი და დამატებითი ლიტერატურის სია.

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

- არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

შეფასება

გთხოვთ, შეაფასოთ სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან პროგრამის შესაბამისობა

კომპონენტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
1.5 სასწავლო კურსი/საგანი	☐	■	☐	☐

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

1. საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	☐
	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	■
	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	☐
	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან	☐

2. სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა

პროგრამაზე დაშვების წინაპირობები, სწავლება-სწავლის მეთოდები და სტუდენტთა შეფასება ითვალისწინებს პროგრამის სწავლის სფეროს თავისებურებებს, საფეხურის მოთხოვნებს, სტუდენტთა საჭიროებებს და უზრუნველყოფს პროგრამით დასახული მიზნებისა და მოსალოდნელი სწავლის შედეგების მიღწევას.

2.1 პროგრამაზე დაშვების წინაპირობები

უსდ-ს განსაზღვრული აქვს პირთა პროგრამაზე დაშვების შესაბამისი, გამჭვირვალე, სამართლიანი, საჯარო და ხელმისაწვდომი წინაპირობები და პროცედურები, რომელიც უზრუნველყოფს შესაბამისი ცოდნისა და უნარების მქონე პირთა პროგრამაში ჩართვას პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევისათვის.

საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

ფილოსოფიის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლის უფლება აქვს სრული ზოგადი ან მასთან გათანაბრებული განათლების მქონე პირს, რომელსაც გააჩნია სახელმწიფოს მიერ დადასტურებული შესაბამისი დოკუმენტი (ატესტატი) და რომელიც ერთიანი ეროვნული გამოცდების შედეგების საფუძველზე სწავლის უფლებას მოიპოვებს აღნიშნულ პროგრამაზე. პროგრამაზე ჩარიცხვის წინაპირობაა აგრეთვე, ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს 2015 წლის 8 ოქტომბრის #111 დადგენილებით დამტკიცებული „ბსუ–ს ბაკალავრიატის და მაგისტრატურის საგანმანათლებლო პროგრამების სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესი - ცვლილებით.“ პროგრამაზე მიღების წინაპირობა ქვეყნდება უნივერსიტეტის ვებ-გვერდზე. აბიტურიენტს, სურვილის შემთხვევაში, შეუძლია ასევე დეტალურად გაეცნოს საგანმანათლებლო პროგრამას, სასწავლო გეგმას და სილაბუსებს ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის ვებგვერდზე (https://www.bsu.edu.ge/text_files/ge_file_382_1.pdf), რაც ხელს შეუწყობს მის უფრო სრულად ინფორმირებულობას.

მართალია, მიღების წინაპირობები ჩამოყალიბებულია უმაღლესი განათლების სფეროში საქართველოს კანონმდებლობის მოთხოვნების შესაბამისად, თუმცაღა მათი ფორმულირებები შესაძლოა გარკვეულწილად ბუნდოვანი და გაუგებარი იყოს პოტენციური აბიტურიენტებისა და სტუდენტებისთვის. სასურველია, მიღების წინაპირობებში მითითებული კანონებით, ბრძანებებითა და ნორმატიული აქტებით განსაზღვრული მოთხოვნები დაკონკრეტდეს და ნათლად გაიწეროს.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- ბსუ-ს სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესის დამტკიცების შესახებ“ ბსუ-ს აკადემიური საბჭოს 2015 წლის 8 ოქტომბრის №111 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ. დადგენილება № 06-01/39.
- მინისტრის ბრძანება ერთიანი ეროვნული გამოცდების გარეშე სტუდენტთა ჩარიცხვის წესის თაობაზე იხ. ბმული http://www.mes.gov.ge/uploads/224.pdf ; ბსუ-ს მოქმედი წესი ერთიანი ეროვნული გამოცდების გარეშე სტუდენტთა ჩარიცხვის წესის თაობაზე;
- თვითშეფასების ანგარიში;
- პროგრამის ხელმძღვანელთან, აკადემიურ და მოწვეულ პერსონალთან, უნივერსიტეტის ადმინისტრაციასთან, თვითშეფასების ჯგუფთან ინტერვიუები.

რეკომენდაციები:

- წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის, რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

- სასურველია, მიღების წინაპირობებში მითითებული კანონებით, ბრძანებებითა და ნორმატიული აქტებით განსაზღვრული მოთხოვნები დაკონკრეტდეს და ნათლად გაიწეროს.

შეფასება

გთხოვთ, შეაფასოთ სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან პროგრამის შესაბამისობა

კომპონენტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
2.1 პროგრამაზე დაშვების წინაპირობები	■	□	□	□

2.2. პრაქტიკული, სამეცნიერო /კვლევითი /შემოქმედებითი /საშემსრულებლო და ტრანსფერული უნარების განვითარება

პროგრამა უზრუნველყოფს, სწავლის შედეგების შესაბამისად, სტუდენტთა პრაქტიკული, სამეცნიერო / კვლევითი / შემოქმედებითი / საშემსრულებლო და ტრანსფერული უნარების განვითარებას და/ან მათ კვლევით პროექტებში ჩართვას.

საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

საგანმანათლებლო პროგრამის სპეციფიკიდან გამომდინარე სასწავლო კურსები სტუდენტს თეორიულ ცოდნასთან ერთად უვითარებს პრაქტიკულ და ტრანსფერულ უნარებს. კერძოდ ეს უნარებია: დამოუკიდებელი და კრიტიკული აზროვნების, ანალიზისა და დასკვნის, განსხვავებული თვალსაზრისის მოსმენის და გათვალისწინების უნარები. სასწავლო კურსების სწავლის შედეგების შესაბამისად, პრაქტიკული უნარების გამომუშავების მიზნით, კურსების სილაბუსებში გათვალისწინებულია როგორც ჯგუფური მუშაობა, ისე რეფერატებისა და პრეზენტაციების მომზადება. პროგრამაში აკადემიური წერითი უნარებისა და შესაბამისად სამეცნიერო კვლევითი უნარების გამომუშავებას ემსახურება სასწავლო კურსები: „აკადემიური წერის საფუძვლები“, „ლოგიკა“, „ეთიკა“, „ფილოსოფიური ტექსტების ანალიზი“ და სხვ. სამეცნიერო უნარების განვითარებაში სტუდენტს ეხმარება აგრეთვე საბაკალავრო ნაშრომზე მუშაობა.

აღსანიშნავია, რომ აღმოსავლეთ ევროპის უნივერსიტეტის სადოქტორო და უმაღლესი განათლების კვლევების განვითარების ცენტრის ინიციატივით 2021 წლის შემოდგომის სემესტრში ბსუ ფილოსოფიის სპეციალობის ბაკალავრიატის სტუდენტებისთვის განხორციელდა პროფესიული ინგლისურის გაუმჯობესების საპილოტე პროგრამა. პროგრამის მიზანი იყო: ფილოსოფიის საბაკალავრო პროგრამის სტუდენტების ინგლისური ენის უნარების გაუმჯობესება. პროგრამის ფარგლებში ფილოსოფიის საბაკალავრო პროგრამის მეორე კურსის სტუდენტებისთვის სასწავლო კურსების სილაბუსების მიხედვით შეირჩა მათ ენობრივ კომპეტენციაზე მორგებული ფილოსოფიური ტექსტები (ფრაგმენტები ფილოსოფიის სახელმძღვანელოებიდან და ორიგინალური ფილოსოფიური ნაწარმოებების ტექსტებიდან, ინტერნეტ-რესურსები). პროგრამის მოსალოდნელი შედეგები გახლდათ ინგლისური ენის ზოგადი უნარების გაუმჯობესება, პროფესიული (ფილოსოფიის დარგობრივი) ტერმინოლოგიის ათვისება, კომუნიკაციური უნარების დახვეწა პიროვნული ზრდა ახალი გამოცდილების შეძენის შედეგად.

ბსუ-ს შემუშავებული აქვს სტუდენტური საუნივერსიტეტო სამეცნიერო კონფერენციის ჩატარების მიზნით კონკურსის გამოცხადების, სტუდენტთა ნაშრომების წარდგენის, შეფასების, შერჩევისა და სტუდენტთა დაჯილდოების წესი. .აღნიშნული წესის მიხედვით სტუდენტური სამეცნიერო კონფერენცია ყოველწლიურად ტარდება. სტუდენტური სამეცნიერო კონფერენციის ჩატარების მიზანია: ა) სწავლის პროცესში მიღებული ცოდნის სისტემატიზაცია, დარგობრივი ცოდნის, პრაქტიკული და შემოქმედებითი უნარების გამოვლენა; ბ) სამეცნიერო-კვლევითი უნარ-ჩვევების გამომუშავება; გ) ახალგაზრდა მკვლევარების წახალისება.

ბსუ-ში ასევე მოქმედებს სტუდენტური ინიციატივებისა და პროექტების წარდგენისა და დაფინანსების წესი, რომელიც შემუშავებულია „უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონისა და ბსუ-ს წესდების საფუძველზე. აღნიშნული წესის მიზანია დაადგინოს სტუდენტთა (ინდივიდუალური ან/და ერთობლივი) ინიციატივებისა და პროექტების წარდგენისა და დაფინანსების შესახებ გადაწყვეტილების მიღების პროცედურა. დაფინანსების მოპოვების მიზნით წარმოდგენილი ინიციატივა/პროექტი შეიძლება იყოს საგანმანათლებლო, სამეცნიერო, კულტურული ან სპორტული თემატიკის.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- ბსუ-ში სტუდენტური საუნივერსიტეტო სამეცნიერო კონფერენციის ჩატარების დებულება,წარმომადგენლობითი საბჭოს 2018 წლის 26 თებერვლის გადაწყვეტილება №02.
- იხ. https://bsu.edu.ge/text_files/ge_file_9713_1.pdf
- ბსუ-ში უნივერსიტეტის სტუდენტის მიერ სხვადასხვა ღონისძიებაში მონაწილეობისთვის ერთჯერადად წამახალისებელი ფულადი ჯილდოს დაწესების შესახებ წარმომადგენლობითი საბჭოს 2018 წლის 26 თებერვლის გადაწყვეტილება №03 .იხ. https://bsu.edu.ge/text_files/ge_file_9640_1.pdf
- სტუდენტთა პრაქტიკული, სამეცნიერო, შემოქმედებითი და ტრანსფერული უნარების განვითარების დადასტურება

- ბსუ-ში სტუდენტური ინიციატივებისა და პროექტების წარდგენისა და დაფინანსების წესი. წარმომადგენლობითი საბჭოს 2017 წლის 25 აპრილის გ ა დ ა წ ყ ვ ე ტ ი ლ ე ბ ა №01. იხ.https://bsu.edu.ge/upload/iniciativebi_da_proeqtebi_2017_2018.pdf
- ინტერვიუები სტუდენტებსა და კურსდამთავრებულებთან

რეკომენდაციები:

- წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის, რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

- არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

შეფასება

გთხოვთ, შეაფასოთ სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან პროგრამის შესაბამისობა

კომპონენტი	შესაბამისობაში მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაში მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაში მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
2.2 პრაქტიკული, სამეცნიერო/კვლევითი /შემოქმედებითი/ საშემსრულებლო და ტრანსფერული უნარების განვითარება	■	□	□	□

2.3 სწავლება-სწავლის მეთოდები

პროგრამა ხორციელდება სტუდენტზე ორიენტირებული სწავლება-სწავლის მეთოდების გამოყენებით. სწავლება-სწავლის მეთოდები შეესაბამება სწავლების საფეხურს, კურსის/საგნის შინაარსს, სწავლის შედეგებს და უზრუნველყოფს მათ მიღწევას.

საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

ფილოსოფიის პროგრამაში შემავალ ცალკეულ კურსში გამოყენებული სწავლების მეთოდები ეფუძნება ინტერაქტიულ მიდგომებსა და სტუდენტზე ორიენტირებულ აქტიურ სწავლებას. გამოყენებული მეთოდები და ფორმები გამომდინარეობს სასწავლო

კურსის სწავლის შედეგებიდან. კერძოდ, ცოდნა-გაცნობიერების კომპეტენციის გამომუშავებას ხელს უწყობს სხვადასხვა სასწავლო კურსში სწავლების ისეთი მეთოდების გამოყენება, როგორებიცაა: ვერბალური, წიგნზე მუშაობის, კითხვის, პრობლემაზე დაფუძნების, ახნა-განმარტებითი, მოსმენის, ელექტრონული რესურსით სწავლების მეთოდი, და ა. შ; ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების უნარ-ჩვევების გამომუშავებას ხელს უწყობს: ანალიზისა და სინთეზის, ინდუქციისა და დედუქციის, კომუნიკაციის და ა. შ. მეთოდი. ზოგადი კომპეტენციების გამომუშავებას ხელს უწყობს ვერბალური, დისკუსია/დებატების, პრეზენტაციის და ა. შ. მეთოდი. სასწავლო კურსების პროფესორ-მასწავლებლებს გავლილი აქვთ ტრენინგები სწავლების მეთოდებსა და სტრატეგიებში, რაც უზრუნველყოფს სწავლა/სწავლების თანამედროვე მეთოდების დანერგვას სასწავლო პროცესში და სწავლის შედეგების უზრუნველყოფას.

საქართველოს მთავრობის 2020 წლის №205 დადგენილების „საგანგებო მდგომარეობის მოქმედების პერიოდში საგანმანათლებლო დაწესებულებებში სასწავლო პროცესის განხორციელების შესახებ“ და ბსუ-ს 2020 წლის 16 მარტის ბრძანების №01-02/35 „ბსუ-ში 2019-2020 სასწავლო წელს გაზაფხულის სემესტრის სასწავლო პროცესის ორგანიზებულად ჩატარებისათვის გასატარებელი დროებითი ღონისძიებებ ის შესახებ“ საფუძველზე უნივერსიტეტში სასწავლო პროცესი გადავიდა დისტანციური სწავლების ფორმატზე, აღნიშნული ცვლილება გატარდა სასწავლო კურსების სწავლა/სწავლების ფორმატშიც.

ბსუ-ს 2020 წლის 01 ოქტომბრის ბრძანების №01-02/130 ბრძანების „ბსუ-ში ელექტრონული სწავლების ადმინისტრირების წესის დამტკიცების შესახებ“ საფუძველზე ცვლილება განხორციელდა სწავლა/სწავლების ფორმატში, კერძოდ დაემატა სასწავლო პროცესში ელექტრონული სწავლების სინქრონული კომუნიკაციისთვის - ონლაინ პლატფორმის Zoom- გამოყენება.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- საგანმანათლებლო პროგრამა;
- სასწავლო კურსების სილაბუსები;
- პროგრამის განმახორციელებელი პერსონალის CV;
- ინტერვიუები პროფესორ მასწავლებლებთან და სტუდენტებთან.

რეკომენდაციები:

- წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის, რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

- არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

შეფასება

გთხოვთ, შეაფასოთ სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან პროგრამის შესაბამისობა

კომპონენტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
2.3 სწავლება-სწავლის მეთოდები	■	□	□	□

2.4. სტუდენტების შეფასება

სტუდენტების შეფასება ხორციელდება დადგენილი პროცედურების მიხედვით, გამჭვირვალეა, სანდო და კანონმდებლობასთან შესაბამისი.

საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

სსიპ - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის მიერ წარმოდგენილი ფილოსოფიის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის თვითშეფასების ანგარიშის, მასზე თანდართული დოკუმენტაციისა და აკრედიტაციის ვიზიტის შედეგად მიღებულ ინფორმაციაზე დაყრდნობით, გამოიკვეთა შემდეგი საკითხები:

სტუდენთა შეფასება ხორციელდება დადგენილი პროცედურების მიხედვით, გამჭვირვალეა და კანონმდებლობასთან შესაბამისი. კერძოდ, სასწავლო პროცესის მარეგულირებელ წესში განსაზღვრულია სტუდენტთა შეფასების წესი, რომელის მიხედვითაც, შუალედური შეფასებებისა (60 ქულა) და დასკვნითი გამოცდის (40 ქულა) საფუძველზე სტუდენტი აგროვებს 100 ქულას. შუალედური და დასკვნითი შეფასებებისათვის განსაზღვრულია მინიმალური კომპეტენციის ზღვარი: შუალედური შეფასებებისთვის - მინიმუმ 21 ქულა, ხოლო დასკვნითი გამოცდისთვის - მინიმუმ 20 ქულა. ამასთან, აღნიშნული წესით განსაზღვრულია, რომ თითოეული სასწავლო კურსის ფარგლებში, დასკვნითი გამოცდის მინიმალური კომპეტენციის ზღვარი არ უნდა აღემატებოდეს მაქსიმალური ქულის 60%-ს.

სასწავლო კურსების ფარგლებში სტუდენტთა შესაფასებლად გამოიყენება როგორც ზეპირი (დისკუსია, პრეზენტაცია და სხვა), ასევე წერილობითი (ტესტი, ესე და სხვა) შეფასების მეთოდები. როგორც აკრედიტაციის ვიზიტის დროს განხორციელებული ინტერვიუებითაც დასტურდება, სასწავლო კურსების სილაბუსები და შესაბამისად, შეფასების სისტემა და კრიტერიუმები განთავსებულია სტუდენტთა პორტალზე და წინსწრებითაა სტუდენტებისათვის ცნობილი.

ფილოსოფიის პროგრამის ფარგლებში სავალდებულო კომპონენტად განსაზღვრულია საბაკალავრო ნაშრომი, რომლის შეფასებასაც ხორიცელდება შემდეგნაირად: ხელმძღვანელის შეფასება - 30 ქულა, რეცენზენტის შეფასება - 30 ქულა, ნაშრომის დაცვა - 40 ქულა. აკადემიური კეთილსინდისიერების დაცვის მიზნით, სტუდენტთა საბაკალავრო ნაშრომები იტვირთება Moodle-ის პლათფორმაზე და Turnitin-ის მეშვეობით მოწმდება სხვა ნაშრომებთან/წყაროებთან მისი მსგავსება.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- ფილოსოფიის პროგრამის თვითშეფასების დოკუმენტი;
- ბსუ- სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესი;
- სასწავლო კურსების სილაბუსები;
- აკრედიტაციის ვიზიტის დროს განხორციელებული ინტერვიუები.

რეკომენდაციები:

- წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის, რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

- არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

შეფასება

გთხოვთ, შეაფასოთ სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან პროგრამის შესაბამისობა

კომპონენტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
2.4 სტუდენტების შეფასება	■	□	□	□

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

2. სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	■
	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	□
	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	□
	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან	□

3. სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა
პროგრამა უზრუნველყოფს სტუდენტზე ორიენტირებული გარემოს შექმნას, შესაბამისი სერვისების შეთავაზებით; ხელს უწყობს სტუდენტების მაქსიმალურ ინფორმირებას, ახორციელებს მრავალფეროვან ღონისძიებებს და ხელს უწყობს სტუდენტების ჩართულობას ადგილობრივ და/ან საერთაშორისო პროექტებში; მაგისტრანტებისა და დოქტორანტებისთვის უზრუნველყოფილია სამეცნიერო ხელმძღვანელობის გაწევა სათანადო ხარისხით.

1. სტუდენტთა საკონსულტაციო და მხარდამჭერი სერვისები
სტუდენტი იღებს სასწავლო პროცესის დაგეგმვაზე, აკადემიური მიღწევების გაუმჯობესებასა და კარიერულ განვითარებაზე კონსულტაციასა და მხარდაჭერას პროგრამაში ჩართული პირების ან/და დაწესებულების სტრუქტურული ერთეულების მიერ. ასევე, სტუდენტს აქვს შესაძლებლობა მისი სწავლების პროცესი იყოს მრავალფეროვანი და ამის შესახებ იღებს შესაბამის ინფორმაციასა და რეკომენდაციას პროგრამაში ჩართული პირების მიერ.

საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

სსიპ - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის მიერ წარმოდგენილი ფილოსოფიის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის თვითშეფასების ანგარიშის, მასზე თანდართული დოკუმენტაციისა და აკრედიტაციის ვიზიტის შედეგად მიღებულ ინფორმაციაზე დაყრდნობით, გამოიკვეთა შემდეგი საკითხები:

უნივერსიტეტში მოქმედებს სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესი, რომელიც განსაზღვრავს სტუდენტის სტატუსის მოპოვების, შეჩერების, შეწყვეტის, მობილობის, სტუდენტის შეფასების, საბაკალავრო ნაშრომის განხორციელებისა და შეფასების წესებს, რაც საჯაროა და განთავსებულია უნივერსიტეტის ვებ.გვერდზე. ამასთან, საჭიროების შემთხვევაში, სტუდენტებს უმზადდებათ ინდივიდუალური სასწავლო გეგმები. აღნიშნული წესი ასევე განსაზღვრავს აკადემიური კეთილსინდისიერების დაცვის მექანიზმებს და პლაგიატის გამოვლენის შემთხვევაში, რეაგირების პროცედურებს.

პროგრამის ფარგლებში უზრუნველყოფილია სტუდენტზე ორიენტირებული სასწავლო გარემოს შექმნა. კერძოდ, სტუდენტები იღებენ ინფორმაციას საკუთარი სასწავლო პროცესის დაგეგმვაზე, აკადემიური მიღწევების გაუმჯობესებასა და კარიერულ განვითარებაზე. აღნიშნულ პროცესში უშუალო მხარდაჭერას ახორციელებენ პროგრამის ხელმძღვანელები და პროგრამის განხორციელებაში ჩართული პირები. როგორც აკადემიური, ასევე მოწვეული პერსონალის დატვირთვაში განსაზღვრულია დრო სტუდენტებთან ინდივიდუალური კონსულტაციებისათვის, რომელიც დგინდება თითოეული სასწავლო სემესტრის დასაწყისში და ცნობილია სტუდენტებისათვის. გარდა ამისა, როგორც სტუდენტებთან ინტერვიუების შედეგად დასტურდება, აღნიშნული საკონსულტაციო დროის მიღმაც, მათ აქვთ სხვადასხვა საკომუნიკაციო საშუალებებით პროგრამაში ჩართულ პერსონალთან კონსულტაციებისა და დამატებითი უკუკავშირის მიღების შესაძლებლობა. აქვე, მნიშვნელოვანია აღინიშნოს, რომ,

როგორც კურსდამთავრებულებთან ინტერვიუს შედეგად გამოიკვეთა, პროგრამაში ჩართული პერსონალი მათთანაც აქტიურ კომუნიკაციას ინარჩუნებს და პროგრამის გაუმჯობესებისათვის იყენებს მათ უკუკავშირს.
უნივერსიტეტის მხარდაჭერით იმართება სტუდენტური კონფერენციები, რაშიც ფილოსოფიის საბაკალავრო პროგრამის სტუდენტებიც აქტიურად არიან ჩართული. ასევე, სტუდენტებს მიეწოდებათ ინფორმაცია გაცვლითი საერთაშორისო პროგრამების შესახებ, თუმცა, ფილოსოფიის საბაკალავრო პროგრამის არც ერთ სტუდენტს არ უსარგებლია აღნიშნული შესაძლებლობით, შესაბამისად, სასურველია უნივერსიტეტმა გააძლიეროს მუშაობა და წაახალისოს სტუდენტების მხრიდან საერთაშორისო გაცვლით პროგრამებში ჩართვის შესაძლებლობის გამოყენება.
სტუდენტური აქტივობების, სხვადასხვა ღონისძიებებისა და დასაქმების შესაძლებლობის შესახებ, სტუდენტები ინფორმაციას იღებენ სტუდენტური პორტალისა და უნივერსიტეტის ვებგვერდიდან. აქვე აღსანიშნია, რომ ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტური პორტალი სხვა მრავალ მნიშვნელოვან შესაძლებლობასაც მოიცავს. კერძოდ, სასწავლო კურსებზე რეგისტრაციისა და მიმდინარე შედეგების ნახვის გარდა, სტუდენტებს პორტალზე შეუძლიათ დისტანციურად მიიღონ ოფიციალური დოკუმენტები (მაგ. სასწავლო ბარათი და სხვა); ასევე, გაეცნონ თავად დამსაქმებლების მიერ განთავსებულ ვაკანსიებს და იმავე სივრცეში ატვირთონ CV-იც პოტენციური დამსაქმებლისათვის (აღნიშნულ სერვისზე წვდომა აქვთ კურსდამთავრებულებსაც); გარდა ამისა, სტუდენტები იღებენ მონაწილეობას უნივერსიტეტის მიერ ორგანიზებულ გამოკითხვებში (სასწავლო კურსების შეფასება, პროგრამის შეფასება და სხვა) და პორტალზე შეუძლიათ იხილონ კითხვარების შეჯამებული შედეგები მათივე ფაკულტეტების მიხედვით, რაც ზრდის სტუდენტთა ინფორმირებულობასა და პასუხისმგებლობას ფაკულტეტზე არსებული მოცემულობისა და გამოწვევების შესახებ.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- ფილოსოფიის პროგრამის თვითშეფასების დოკუმენტი;
- ბსუ- სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესი;
- სტუდენტური პორტალი - https://portal.bsu.edu.ge/
- უნივერსიტეტის ვებ.გვერდი - https://www.bsu.edu.ge/
- აკრედიტაციის ვიზიტის დროს განხორციელებული ინტერვიუები;

რეკომენდაციები:

-

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

- სასურველია უნივერსიტეტმა გააძლიეროს მუშაობა სტუდენტების საერთაშორისო გაცვლით პროგრამებში მონაწილეობის მიზნით.

შეფასება

გთხოვთ, შეაფასოთ სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან პროგრამის შესაბამისობა

კომპონენტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
3.1 სტუდენტთა საკონსულტაციო და მხარდამჭერი სერვისები	■	□	□	□

3.2 მაგისტრანტთა და დოქტორანტთა ხელმძღვანელობა

- სამეცნიერო ხელმძღვანელი, სამეცნიერო-კვლევითი კომპონენტის წარმატებით განხორციელებისთვის, სათანადოდ უჭერს მხარს მაგისტრანტებსა და დოქტორანტებს.
- სამაგისტრო და სადოქტორო პროგრამაზე სტუდენტებისა და ხელმძღვანელების თანაფარდობა უზრუნველყოფს სამეცნიერო ხელმძღვანელობის სათანადოდ განხორციელებას.

საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

მტკიცებულებები/ინდიკატორები

რეკომენდაციები:

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

შეფასება

გთხოვთ, შეაფასოთ სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან პროგრამის შესაბამისობა

კომპონენტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

3.2 მაგისტრანტთა და დოქტორანტთა ხელმძღვანელობა	☐	☐	☐	☐

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

3. სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	■
	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	☐
	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	☐
	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან	☐

4. სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა

საგანმანათლებლო პროგრამის ადამიანური, მატერიალური, საინფორმაციო და ფინანსური რესურსები უზრუნველყოფს პროგრამის მდგრად, სტაბილურ, ეფექტიან და ეფექტურ ფუნქციონირებას და განსაზღვრული მიზნების მიღწევას.

4.1 ადამიანური რესურსი

- პროგრამას ახორციელებენ შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე პირები, რომლებსაც აქვთ პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების გამომუშავებისათვის აუცილებელი კომპეტენცია.
- პროგრამის განმახორციელებელი აკადემიური/სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის რაოდენობა და დატვირთვა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამით განსაზღვრული სასწავლო პროცესის სათანადოდ წარმართვას და ასევე, სამეცნიერო-კვლევითი/შემოქმედებითი/ საშემსრულებლო საქმიანობისა და სხვა მათზე დაკისრებული ფუნქციების ჯეროვან შესრულებას. აკადემიურ/სამეცნიერო/მოწვეულ პერსონალთან დაკავშირებული რაოდენობრივი მაჩვენებლები უზრუნველყოფს პროგრამის მდგრადობას.
- პროგრამის ხელმძღვანელს გააჩნია პროგრამის შემუშავებისათვის აუცილებელი ცოდნა და გამოცდილება, ასევე სათანადო კომპეტენცია პროგრამის სწავლის სფეროში და

უშუალოდაა ჩართული პროგრამის განხორციელებაში.

- პროგრამის სტუდენტები, უსდ-ის მიერ უზრუნველყოფილები არიან სათანადო რაოდენობისა და შესაბამისი კომპეტენციის მქონე ადმინისტრაციული და დამხმარე პერსონალით.

საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

წარმოდგენილი დოკუმენტაციიდან ირკვევა, რომ ფილოსოფიის საბაკალავრო პროგრამის განხორციელებაში ჩართულნი არიან პროფესორ-მასწავლებლები, რომლებსაც მთლიანობაში სათანადო კვალიფიკაცია აქვთ პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მისაღწევად. ამასთან, აკადემიური პერსონალის გარკვეულ ნაწილს გააჩნია საერთაშორისო გამოცდილება, რაც ხელს შეუწყობს სტუდენტთათვის თანამედროვე მიღწევების შესახებ ინფორმაციის მიწოდება-გაზიარებას.

უნივერსიტეტში აკადემიურ და სამეცნიერო თანამდებობებზე პერსონალის არჩევა ხდება საქართველოში მოქმედი კანონმდებლობისა და ბსუ-ს შიდა რეგულაციების შესაბამისად.

საბაკალავრო პროგრამის აკადემიური და მოწვეული პერსონალის რაოდენობა საკმარისია პროგრამაზე მისაღები კონტიგენტის მომსახურების გასაწევად, რაც პროგრამის მგდგრადობაზე მიუთითებს.

დოკუმენტაციის შესწავლისა და ჩატარებული ინტერვიუების შედეგად ირკვევა, რომ უნივერსიტეტის აკადემიურ და წარმომადგენლობით საბჭოზე მტკიცდება დადგენილება აკადემიური და მოწვეული პერსონალის აკადემიური/საათობრივი დატვირთვის, ჯგუფებში სტუდენტთა ზღვრული ოდენობის განსაზღვრის შესახებ, რაც შემდეგ საფუძველი ხდება აკადემიურ პირთა სავალდებულო წლიური დატვირთვის განსაზღვრისა კატეგორიების მიხედვით (მაგ. აკადემიურ თანამდებობის პირს დატვირთვა განესაზღვრება შემდეგი ოდენობით: პროფესორს - 300 საათი; ასოცირებულ პროფესორს - 350 საათი; ასისტენტ-პროფესორს - 380 საათი);

ინტერვიუების დროს აღინიშნა, რომ პროფესორს შეუძლია დამატებითი საათების აღება დამატებითი ანაზღაურების საფუძველზე. შესაბამისად, პროგრამაში ჩართული თითქმის ყველა აკადემიური პერსონალის დატვირთვა შეადგენს 500 საათს. ექსპერტთა კომისიის აზრით, ეს ძალიან დიდი დატვირთვაა პროფესორ-მასწავლებლებისათვის, მითუმეტეს მაშინ, როცა მათ კვლევით საქმიანობაში ჩართვაც ევალებათ.

ბსუ-ს ფილოსოფიის საბაკალავრო პროგრამას ხელმძღვანელობებ დარგის პროფესორები, რომლებსაც მრავალწლიანი სამეცნიერო-პედაგოგიური საქმიანობის განხორციელების სტაჟი და მდიდარი გამოცდილება აქვთ. პროგრამის ხელმძღვანელები უშუალოდ მონაწილეობდნენ და კოორდინირებას უწევდნენ შიდა ხარისხის შეფასების ინსტრუმენტების შემუშავება-განვითარებას, შიდა თვითშეფასების მექანიზმების დახმარებით შეგროვებულ მონაცემებზე დაყრდნობით, პროგრამის სუსტი და ძლიერი მხარეების გამოვლენასა და პროგრამის განვითარებისთვის რელევანტური ინტერვენციების შემუშავებას, აკადემიური და მოწვეული პერსონალის პროფესიული განვითარების საჭიროებების განსაზღვრის ხელშეწყობას და სხვ. პროგრამის ხელმძღვანელებსა და პროფესორ-მასწავლებლებთან გასაუბრებიდან დგინდება, რომ პროგრამის ხელმძღვანელები

უშუალოდ უწევდნენ პროგრამის შემუშავებას კოორდინაციას და აქტიურად იყვნენ ჩართული პროგრამის დახვეწა-განვითარებაში.
პროგრამას ემსახურება 6 ადმინისტრაციულ და დამხმარე პერსონალი. წარმოდგენილი დოკუმენტებისა და ინტერვიუს შედეგად მიღებული ინფორმაციის საფუძველზე დასტურდება, რომ სტუდენტები უზრუნველყოფილნი არიან საჭირო რაოდენობის ადმინისტრაციული თუ დამხმარე პერსონალით.

პროგრამაში ჩართული პერსონალის რაოდენობა (მათ შორის, აკადემიური, სამეცნიერო, მოწვეული პერსონალი)	**პროგრამაში ჩართული პერსონალის რაოდენობა**	**მათ შორის, დარგობრივი მიმართულებით პერსონალი**	**მათ შორის, დარგობრივი მიმართულებით დოქტორის ხარისხის მქონე პერსონალი**	**მათ შორის აფილირებული აკადემიური პერსონალი**
სულ აკადემიური პერსონალი	**12**	**12**	**12**	**12**
- პროფესორი	4	4	4	5
- ასოცირებული პროფესორი	5	5	5	4
- ასისტენტ-პროფესორი	3	3	3	3
- ასისტენტი	0	0	0	0
მოწვეული პერსონალი	9	0	8	_
სამეცნიერო პერსონალი	0	0	0	_

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- აკადემიური და მოწვეული პერსონალის პირადი საქმეები;
- ადმინისტრაციული და დამხმარე პერსონალის რაოდენობა;
- პროგრამის ხელმძღვანელებთან, აკადემიურ დამოწვეულ პერსონალთან, ხარისხის სამსახურთან, პროგრამის სტუდენტებთან ინტერვიუს შედეგები.

რეკომენდაციები:

- წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის, რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

- სასურველია დაწესებულების მხრიდან პროფესორ-მასწავლებელთა დატვირთვა იყოს ადექვატური მათ სასწავლო და კვლევით საქმიანობასთან.

შეფასება

გთხოვთ, შეაფასოთ სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან პროგრამის შესაბამისობა

კომპონენტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
4.1 ადამიანური რესურსი	■	□	□	□

4.2 მაგისტრანტისა და დოქტორანტის ხელმძღვანელის კვალიფიკაცია

მაგისტრანტსა და დოქტორანტს ჰყავს კვალიფიციური ხელმძღვანელი/ხელმძღვანელები და საჭიროების შემთხვევაში თანახელმძღვანელი/თანახელმძღვანელები, რომლებსაც აქვთ კვლევის სფეროში შესაბამისი სამეცნიერო-კვლევითი გამოცდილება.

საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

საგანმანათლებლო პროგრამის თვითშეფასების ანგარიშის, მასზე თანდართული დოკუმენტაციისა და აკრედიტაციის ვიზიტის შედეგად მიღებულ ინფორმაციაზე დაყრდნობით აღწერეთ, გააანალიზეთ და შეაფასეთ საგანმანათლებლო პროგრამის მოცემული სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობა;

სამაგისტრო/სადოქტორო ნაშრომების ხელმძღვანელთა რაოდენობა	**ნაშრომების ხელმძღვანელები**	**მათ შორის, დარგობრივი მიმართულებით დოქტორის ხარისხის მქონე ხელმძღვანელები**	**მათ შორის აფილირებული აკადემიური პერსონალი**
სამაგისტრო/სადოქტორო ნაშრომების ხელმძღვანელთა რაოდენობა			
- პროფესორი			

- ასოცირებული პროფესორი			
- ასისტენტ-პროფესორი			
მოწვეული პერსონალი			_
სამეცნიერო პერსონალი			_

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- კომპონენტის მტკიცებულებები/ინდიკატორები შესაბამისი დოკუმენტებისა და ინტერვიუს შედეგების ჩათვლით

რეკომენდაციები:

- წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის, რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

- არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

შეფასება

გთხოვთ, შეაფასოთ სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან პროგრამის შესაბამისობა

კომპონენტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
4.2 მაგისტრანტისა და დოქტორანტის ხელმძღვანელის კვალიფიკაცია	☐	☐	☐	☐

4.3. აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის პროფესიული განვითარება

- დაწესებულება რეგულარულად აწარმოებს პროგრამაში ჩართული პერსონალის შეფასებასა და შედეგების ანალიზს.
- უსდ ზრუნავს აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის პროფესიულ განვითარებაზე, ასევე ხელს უწყობს მათ მიერ სამეცნიერო/კვლევითი საქმიანობის განხორციელებას.

საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

დოკუმენტაციაზე დაყრდნობით ირკვევა, რომ ბსუ ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურმა შეიმუშავა აკადემიური და მოწვეული პერსონალის საქმიანობის შეფასების წესი, რომელიც ითვალისწინებს პედაგოგიურ, სამეცნიერო და სხვა საუნივერსიტეტო აქტივობებში პერსონალის მონაწილეობის შეფასებას.

დოკუმენტებით ასევე დასტურდება, რომ აკადემიური პერსონალის შეფასების შედეგები გათვალისწინებულია აკადემიური პერსონალის არჩევის წესში, თუმცა პროგრამაში ჩართულმა აკადემიურმა პერსონალმა ზუსტად ვერ გაიხსენა იყო თუ არა შეფასების შედეგი თანამდებობებზე არჩევისას გათვალისწინებული.

უნივერსიტეტის ხელშეწყობით პერიოდულად ხდება აკადემიური პერსონალისათვის ტრენინგების ჩატარება გამოცდილების გაზიარების მიზნით. ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის პერსონალის პროფესიული განვითარების დაფინანსების წესის შესაბამისად რეგულირდება უნივერსიტეტის აკადემიური, სამეცნიერო, ადმინისტრაციული, დამხმარე და მოწვეული პერსონალის პროფესიული განვითარების მიზნით სხვადასხვა ღონისძიებაში (კონფერენციაზე, სემინარზე, კონგრესზე, ფორუმზე, ტრენინგზე, სეზონურ სკოლაში ან/და სხვა სამუშაო შეხვედრაზე) მონაწილეობის/მივლინების დაფინანსების მოპოვებასთან დაკავშირებულ პროცედურები. ბსუ-ში დასაქმებული უფლებამოსილია პროფესიული განვითარების მიზნით მონაწილეობა მიიღოს როგორც ქვეყნის შიგნით, ასევე ქვეყნის ფარგლებს გარეთ გამართულ ღონისძიებაში.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- თვითშეფასების ანგარიში;
- ბსუ-ს აკადემიური საბჭოს 2019 წლის 14 აგვისტოს №060-1/92 დადგენილებით დამტკიცებული „ბსუ-ს აკადემიური და მოწვეული პერსონალის საქმიანობის შეფასების წესის დამტკიცების შესახებ“; იხ. https://bsu.edu.ge/text_files/ge_file_13068_1.pdf
- ბსუ-ს აკადემიური საბჭოს 2017 წლის 29 ივნისის №46 დადგენილებით დამტკიცებული „ბსუ-ს აკადემიური და მოწვეული პერსონალის საქმიანობის შეფასების წესის დამტკიცების შესახებ“. იხ. https://bsu.edu.ge/text_files/ge_file_8413_1.pdf
- ბსუ-ს აკადემიური საბჭოს 2019 წლის 14 აგვისტოს № 06-01/93 დადგენილებით დამტკიცებული „ბსუ-ს სამეცნიერო პერსონალის სამეცნიერო-კვლევითი მუშაობის შეფასების წესი“. იხ.https://bsu.edu.ge/text_files/ge_file_13069_1.pdf
- პერსონალის პროფესიული განვითარების დაფინანსების წესი

- ინტერვიუს შედეგები.

რეკომენდაციები:

- წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის, რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

- არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

შეფასება

გთხოვთ, შეაფასოთ სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან პროგრამის შესაბამისობა

კომპონენტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
4.3 აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის პროფესიული განვითარება	■	□	□	□

4.4. მატერიალური რესურსი

პროგრამა უზრუნველყოფილია აუცილებელი ინფრასტრუქტურით, სწავლის სფეროს შესაბამისი საინფორმაციო რესურსებით და ტექნიკური აღჭურვილობით, რომელიც საჭიროა საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მისაღწევად.

საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

მატერიალურ-ტექნიკური რესურსების ადგილზე დათვალიერებით დადგინდა, რომ ეს რესურსები სრულად უზრუნველყოფს პროგრამაში ასახული სწავლის შედეგების მიღწევას. უნივერსიტეტში სალექციო აუდიტორიები განახლებულია და აღჭურვილია თანამედროვე ტექნოლოგიური საშუალებებით. როგორც სალექციო აუდიტორიები და სამკითხველო დარბაზი, ისე კომპიუტერული ცენტრის ოთახები არის კეთილმოწყობილი. უნივერსიტეტში სტუდენტთა რეგისტრაციისა და სასწავლო პროცესის მართვის ხელშეწყობის მიზნით

მოქმედებს სტუდენტური პორტალი. მათი დახმარებით სტუდენტებს აქვთ ინფორმაცია სიახლეების შესახებ და უკუკავშირის შესაძლებლობა. უნივერსიტეტის აკადემიური პერსონალი იყენებს ფილოსოფიის დეპარტამენტის სივრცეს სტუდენტებთან ინდივიდუალური და ჯგუფური კონსულტაციებისთვის.
უსდ ბიბლიოთეკაში ფილოსოფიის საბაკალავრო პროგრამის სილაბუსებში გაწერილი წიგნები ყველა ვერ მოიძებნა, თუმცა ის ნამდვილად იყო ფილოსოფიის დეპარტამენტში. შესაბამისად, სასურველია შეიქმნას ბიბლიოთეკის საერთო ბაზა, სადაც აღნიშნული იქნება, თუ რომელ დარბაზსა და დეპარტამენტში არის კონკრეტული წიგნი განთავსებული.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- უნივერსიტეტის მატერიალურ-ტექნიკური რესურსები;
- უნივერსიტეტის ინფრასტრუქტურა;
- თვითშეფასების ანგარიში;
- უნივერსიტეტის ბიბლიოთეკა;
- სტუდენტური პორტალი
- აკადემიურ და მოწვეულ პერსონალთან ინტერვიუს შედეგები;
- სტუდენტებსა და კურსდამთავრებულებთან ინტერვიუს შედეგები.

რეკომენდაციები:

- წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის, რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

- ერთიანი საუნივერსიტეტო ბიბლიოთეკის ბაზის შექმნა

შეფასება

გთხოვთ, შეაფასოთ სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან პროგრამის შესაბამისობა

კომპონენტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
4.4 მატერიალური რესურსი	■	□	□	□

4.5. პროგრამის/ფაკულტეტის/სკოლის ბიუჯეტი და პროგრამის ფინანსური მდგრადობა

პროგრამის/ფაკულტეტის/სკოლის ბიუჯეტით გათვალისწინებული ფინანსური რესურსების გამოყოფა ეკონომიკურად მიღწევადია და შეესაბამება პროგრამის საჭიროებებს.

საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

სააკრედიტაციო პაკეტში წარმოდგენილია პროგრამის 4 წლის ბიუჯეტი, ფაკულტეტისა და უნივერსიტეტი ბიუჯეტები. პროგრამის ბიუჯეტი ცხადჰყოფს, რომ პროგრამა, რომელზედაც სწავლის საფასური წლიურად სტუდენტზე 2250 ლარს შეადგენს, გეგმავს 20 სტუდენტის მიღებას. პროგრამის ბიუჯეტის ხარჯვით ნაწილში გათვალისწინებულია როგორც აკადემიური და მოწვეული პერსონალის შრომის ანაზღაურება, ისე არაპირდაპირი დანახარჯები, რაც პროგრამის განხორციელებასა და განვითარებასთან დაკავშირებულ ხარჯებს მოიცავს. რაც შეეხება ფაკულტეტისა და ბსუ-ს ბიუჯეტს, განაწილებული თანხები მოიცავს მატერიალურ-ტექნიკური ბაზის განახლებას, ბიბლიოთეკისა და ელექტრონული საინფორმაციო რესურსების სრულყოფას, სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის ეფექტურად წარმართვას, შესაბამისი ინფრასტრუქტურის განახლებას, უნივერსიტეტის პერსონალის შრომის ანაზღაურებას, სტუდენტური სერვისების განვითარებას და სხვ.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- თვითშეფასების ანგარიში;
- პროგრამის ბიუჯეტი;
- ფაკულტეტის და უნივერსიტეტის ბიუჯეტი;
- ინტერვიუს შედეგები.

რეკომენდაციები:

- წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის, რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

- არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

შეფასება

გთხოვთ, შეაფასოთ სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან პროგრამის შესაბამისობა

კომპონენტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

4.5 პროგრამის/ ფაკულტეტის/ სკოლის ბიუჯეტი და პროგრამის ფინანსური მდგრადობა	■	□	□	□

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

4. სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	■

5. სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები

სწავლების ხარისხის განვითარების მიზნით, პროგრამა იყენებს შიდა და გარე ხარისხის შეფასებებს, პერიოდულ მონიტორინგსა და შეფასებას უწევს პროგრამას. აგროვებს და აანალიზებს რელევანტურ ინფორმაციას შესაბამისი გადაწყვეტილების მისაღებად და განსავითარებლად.

5.1. შიდა ხარისხის შეფასება

პროგრამაში ჩართული პერსონალი თანამშრომლობს შიდა ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურთან/პერსონალთან პროგრამის ხარისხის შეფასების პროცესის დაგეგმვის, შეფასების ინსტრუმენტების შემუშავებისა და შეფასების განხორციელების პროცესში და იყენებს ხარისხის შეფასების შედეგებს პროგრამის გასაუმჯობესებლად.

საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

ბსუ-ს ხარისხის უზრუნველყოფის პოლიტიკა, რომელიც მოიცავს სწავლა-სწავლების, კვლევის პროცესისა და საუნივერსიტეტო სერვისების განხორციელების ხარისხის უზრუნველყოფას, ეფუძნება როგორც უნივერსიტეტის მიერ შემუშავებულ შიდასაუნივერსიტეტო რეგულაციებს, ისე, უმაღლესი განათლების სივრცეში არსებულ ქართულ კანონმდებლობასა და საერთაშორისო გამოცდილებას. ამდენად, უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური საქმიანობისას ხელმძღვანელობს ისეთი

დოკუმენტებით როგორიცაა: უმაღლესი განათლების ევროპული სივრცის ხარისხის უზრუნველყოფის სტანდარტები და სახელმძღვანელო პრინციპები (ESG); საქართველოს კანონი ,,უმაღლესი განათლების შესახებ"; საქართველოს კანონი „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ"; ბსუ-ს ხარისხის უზრუნველყოფის პოლიტიკა; საგანმანათლებლო პროგრამების შემუშავების, დამტკიცებისა და განვითარების წესი და სხვ.

შიდასაუნივერსიტეტო რეგულაციების თანახმად, საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავებისა და შემდგომში შეფასების პროცესში აქტიურად იყო ჩართული არა მარტო პროგრამის აკადემიური და ადმინისტრაციული პერსონალი, არამედ სტუდენტები და კურსდამთავრებულები, ხოლო ხარისხის უზრნველყოფის სისტემა ეფუძნება "დაგეგმე, განახორციელე, შეამოწმე, განავითარე" ციკლის პრინციპით მუშაობას, რაც უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის, განხორციელებისა და შეფასების პროცესში დაინტერსებული მხარეების თანამონაწილეობას. აქვე, აღსანიშნავია, რომ დამსაქმებლებთან გასაუბრებისას არ დადასტურდა მათი პირდაპირი და აქტიური ჩართულობა ფილოსოფიის პროგრამის მოდიფიცირების მიზნით შექმნილი სამუშაო ჯგუფების მუშაობის პროცესში, თუმცაღა ხაზი გაუსვეს უნივერსიტეტთა თანამშრომლობის მნიშვნელობასა და აქტიური კომუნიკაციის არსებობას (ძირითადად გამოკითხვებში მონაწილეობით).

თვითშეფასების ანგარიშითა და თანდართული დოკუმენტებით, ისევე როგორც გასაუბრების შედეგებით დასტურდება, რომ პროგრამაში ჩართული პერსონალი თანამშრომლობს შიდა ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურთან პროგრამის ხარისხის შეფასების პროცესის დაგეგმვის, შეფასების ინსტრუმენტების შემუშავებისა და შეფასების განხორციელების პროცესში. ამავე მიზნით, უნივერსიტეტში დანერგილია სასწავლო პროცესის მონიტორინგის პრაქტიკა, რაც ითვალისწინებს სააუდიტორიო მუშაობის სისტემატურ შეფასებას (მათ შორის, კოლეგიალური შეფასება ურთიერთდასწრებით, საგამოცდო პროცესზე დაკვირვება, სტუდენტთა ნაშრომების შერჩევითი მონიტორინგი, აკადემიური მოსწრების სტატისტიკური ანალიზი, გამოკითხვები და სხვ.) და შესაბამისი რეკომენდაციების შემუშავებას. პროგრამის საჭიროებებისა და სპეციფიკის გათვლაისწინებით, კურიკულუმის კომიტეტის მიერ, სამუშაო შეხვედრების ფარგლებში, შემუშავებულია სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმი, რომელიც წარმოდგენილია შესაბამისი რუკების სახით. ამ უკანასკნელთა შესწავლამ და ანალიზმა გამოკვეთა მათში არსებული უზუსტობები, შინაარსობრივი შეუსაბამობები და ტექნიკური ხარვეზები. მნიშვნელოვანია, ფაკულტეტისა და ცენტრალური ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურებმა მინიმუმამდე დაიყვანონ სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმებში არსებული ხარვეზები, რათა შემდგომში პროგრამის სწავლის შედეგების მონიტორინგის პროცესში არ მოხდეს რაოდენობრივ და თვისებრივ მონაცემთა მცდარი განმარტება. ამავე მიზნით, რეკომედებულია ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურმა გააქტიუროს მუშაობა პროგრამის აკადემიურ გუნდთან ტრენინგებისა თუ სამუშაო შეხვედრების ფარგლებში.

ბსუ-ს ხარისხის უზრუნველყოფის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი მექანიზმია პერსონალის შეფასების და პროფესიული განვითარების ხელშეწყობა. ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურს შემუშავებული აქვს აკადემიური და მოწვეული პერსონალის საქმიანობის შეფასების წესი, რომელიც ითვალისწინებს პედაგოგიურ, სამეცნიერო და საუნივერსიტეტო სხვა აქტივობებში პერსონალის მონაწილეობის შეფასებას. პერსონალის შეფასების პროცესი

ხორციელდება ელექტრონული პლატფორმის-www.apa.bsu.edu.ge მეშვეობით, ხოლო შედეგების გაანალიზებისა და შესაბამისი რეკომენდაციები შემუშავების პროცესში აქტიურადაა ჩართული უნივერსიტეტის სამეცნიერო კვლევების სამსახურიც.

მნიშვნელოვანია აღინიშნოს, რომ ბსუ-ში ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმების გამართულ ფუნქციონირებას, კერძოდ კი რაოდენობრივ და თვისებრივ მონაცემთა თავმოყრას, ანალიზს, ინფორმაციის გაზიარებას და სხვადასხვა ბიუროკრატიული პროცესის გამარტივებას, ხელს უწყობს უნივერსიტეტის მიერ შექმნილი ელექტრონული პორტალი. პორტალი უნიკალურია იმ მხრივაც, რომ ის საშუალებას აძლებს სტუდენტებსა და რეგიონში არსებულ დამსაქმებელ ორგანიზაციებს ყოველგვარი შეფერხების გარეშე დაამყარონ კომუნიკაცია, რაც ერთი მხრივ, ხელს უწყოს სტუდენტთა დასაქმების შესაძლებლობების ზრდას, ხოლო მეორე მხრივ, ზრდის დამსაქმებელთა უნივერსიტეტით დაინტერესებისა და მასთან თანამშრომლობის გაღრმავების პერსპექტივას. პორტალი, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურს საშუალებას აძლევს ადვილად მოიპოვოს და დაამუშავოს შესაბამისი სტატისტიკური მონაცემები (სტუდენტთა აკადემიური მოსწრება, დასაქმების სტატისტიკა, გამოკითხვის შედეგები და სხვ.), ასევე, მიიღოს პირდაპირი უკუკავშირი სტუდენტისგან, რაც საგანმანათლებლო პროგრამებისა და საუნივერსიტეტო სერვისების შეფასებისა და განვითარების შესაძლებლობებს იძლევა.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის დებულება";
- ბსუ-ს ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მიერ შემუშავებული ლექციის/ჯგუფში მუშაობის/პრაქტიკულის/სემინარის/ლაბორატორიული მეცადინეობების შეფასების ფორმა.
- ბსუ-ს აკადემიური და მოწვეული პერსონალის საქმიანობის შეფასების წესი
- ,,ბსუ-ს აკადემიური და მოწვეული პერსონალის საქმიანობის შეფასების წესის დამტკიცების შესახებ" ბსუ- ს აკადემიური საბჭოს 2017 წლის 29 ივნისის №46 დადგენილებაში ცვლილებებისა და დამატებების შეტანის თაობაზე"
- პერსონალის თვითშეფასების ელექტრონული სისტემა, იხ. www.apa.bsu.edu.ge
- ბსუ–ს აკადემიური საბჭოს 2019 წლის 14 აგვისტოს №06-01/90 დადგენილება ,,ბსუ-ს სამეცნიერო კვლევის პოლიტიკის დამტკიცების შესახებ"
- ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის კურიკულუმის კომიტეტის სხდომის ოქმი N4;
- ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტთა კარიერული განვითარების, კულტურისა და სპორტის სამსახურის დებულება
- აკადემიური მოსწრების სტატისტიკა
- პროფესორ-მასწავლებელთა გამოკითხვა
- სტუდენტთა გამოკითხვა
- დამსაქმებელთა გამოკითხვა - დანართი 5.1.13;
- კურსდამთავრებულთა გამოკითხვა - დანართი 5.1.14

რეკომენდაციები:

- რეკომენდებულია, ფაკულტეტისა და ცენტრალური ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურებმა მინიმუმამდე დაიყვანონ სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმებში არსებული ხარვეზები და ამ მიზნით, გააქტიურონ მუშაობა პროგრამის აკადემიურ გუნდთან ტრენინგებისა თუ სამუშაო შეხვედრების ფარგლებში.

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

- არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

შეფსება

გთხოვთ, შეაფასოთ სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან პროგრამის შესაბამისობა

კომპონენტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
5.1 შიდა ხარისხის შეფასება	☐	■	☐	☐

5.2. გარე ხარისხის შეფასება

პროგრამა რეგულარულად იყენებს გარე ხარისხის შეფასების შედეგებს.

საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

პროგრამის თვითშეფასების დოკუმენტითა და ინტერვიუების შედეგებით დასტურდება პროგრამის ხარისხის გარე უზრუნველყოფის მექანიზმებად სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის მიერ შემუშავებული აკრედიტაციის პროცესით მიღებული რეკომენდაციებისა და გარე, უცხოელ ან ქართველ ექსპერტთა შეფასებების გამოყენება.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, ფილოსოფიის პროგრამის გარე ხარისხის შეფასების მიზნით გამოყენებულია კოლეგიალური შეფასება, რომელიც განხორციელდა ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის ამავე დარგის პროფესორის მიერ. თვითშეფასების დანართებში წარმოდგენილია გარე შემფასებლის დასკვნა. აღსანიშნავია, რომ წარმდგენილი დოკუმენტი არ იძლევა პროგრამის, მისი მიზნების, შედეგების, სტრუქტურისა და სასწავლო კურსების სიღრმისეულ ანალიზს. სასურველია, გარე შემფასებლის მიერ წარმოდგენილი დასკვნა წარმოადგენდეს პროგრამის, მისი შინაარსის, სტრუქტურისა და სწავლებისა თუ

შეფასების მეთოდოდების დეტალურ და სიღრმისეულ შეფასებას. ამავე მიზნით, სასურველია შემუშავდეს გარე შეფასების განხორციელების დეტალური მეთოდოლოგია. აღნიშნული პროგრამის აკადემიურ გუნდს დაეხმარება პროგრამასთან დაკავშირებით მნიშვნელოვანი მიგნებებისა და გასაუმჯობესებელი მხარეების უკეთ იდენტიფიცირებისაში. პროგრამის გარე შეფასების პროცესში ასევე ჩართულნი იყვნენ პოტენციური დამსაქმებლები. მათი ჩართულობა წარმოდგენილი პროგრამისთვის განხორციელდა გამოკითხვების ფარგლებში.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- თვითშეფასების ანგარიში;
- საგანმანათლებლო პროგრამა;
- გარე შემფასებლის დასკვნა;
- ინტერვიუს შედეგები.

რეკომენდაციები:

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

o სასურველია, გარე შემფასებლის მიერ წარმოდგენილი დასკვნა წარმოადგენდეს პროგრამის, მისი შინაარსის, სტრუქტურისა და სწავლებისა თუ შეფასების მეთოდოლოგიის დეტალურ და სიღრმისეულ ანალიზს. ამავე მიზნით, სასურველია შემუშავდეს გარე შეფასების განხორციელების დეტალური მეთოდოლოგია.

შეფასება

გთხოვთ, შეაფასოთ სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან პროგრამის შესაბამისობა

კომპონენტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
5.2 გარე ხარისხის შეფასება	■	□	□	□

5.3. პროგრამის მონიტორინგი და პერიოდული შეფასება

პროგრამის მონიტორინგი და პერიოდული შეფასება ხორციელდება აკადემიური, სამეცნიერო, მოწვეული ადმინისტრაციული, დამხმარე პერსონალის, სტუდენტების, კურსდამთავრებულების, დამსაქმებლების და სხვა დაინტერესებული მხარეების ჩართულობით ინფორმაციის სისტემური შეგროვების, დამუშავებისა და ანალიზის

მეშვეობით. შეფასების შედეგები გამოიყენება პროგრამის გასაუმჯობესებლად.

საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

უნივერსიტეტში საგანმანათლებლო პროგრამების მონიტორინგისა და პერიოდული შეფასების პროცესებს ხელმძღვანელობს ცენტრაული და ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურები, რომლებიც დებულებით გათვალისწინებული კომპეტენციების ფარგლებში გეგმავენ და ახორციელებენ როგორც პროგრამის, ისე საგანმანათლებლო პროცესის, მატერიალური და ადამიანური რესურსების, საუნივერსიტეტო სერვისების შეფასებისა და გაუმჯობესების მექანიზმებს. ფილოსოფიის საბაკალავრო პროგრამის ხარისხის უზრუნველყოფისა და მონიტორინგის საკითხებს დამატებით ხელმძღვანელობდნენ ფაკულტეტის დეკანი, პროგრამების ხემძღვანელები და ფილოსოფიის დაგრობრივი დეპარტამენტის კოორდინატორი.

საგანმანათლებლო პროგრამის შეფასებისა და განვითარების მიზნით, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური ახორციელებს სასწავლო პროცესის მონიტორინგს, რაც გულისხმობს სააუდიტორიო მეცადინეობებზე დასწრებას, სასწავლო და საგამოცდო საკითხების შეფასებას, გამოცდების მონიტორინგს და შედეგების ანალიზს, სტუდენტთა აკადემიური მოსწრების მაჩვენებლების დადგენასა და ანალიზს, აკადემიური და სამეცნიერო პერსონალის საქმიანობის შეფასებას, კურსდამთავრებულთა და დამსაქმებელთა გამოკითხვის შედეგების გაანალიზებას, შრომის ბაზრის მოთხოვნებისა თუ ტენდენციების დადგენას და მათთან პროგრამის შინაარსის შესაბამისობის უზრუნველყოფას. აქვე, აღსანიშნავაია, რომ აღსანიშნავია, რომ შრომის ბაზრის კვლევის დოკუმენტი ძირითადად ასახავს დამსაქმებელთა გამოკითხვის შედეგებს და ნაკლებ წარმოადგენს არსებული რეალობის სიღრმისეულ ანალიზს დარგთან მიმართებით. სასურველია, პროგრამის განვითარებისა და მაღალკვალიფიციური სპეციალისტების მომზადების მიზნით, სამომავლოდ ჩატარდეს შრომის ბაზრის სიღრმისეული კვლევა გამართული მეთოდოლოგიით.

მონიტორინგის შედეგების გათვალისწინებით, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური შეიმუშავებს რეკომენდაციებს, რომლებიც განიხილება დარგობრივ დეპარტამენტში და ხდება პროგრამაში ცვლილებების შეტანის საფუძველი. ცვლილებები შემდგომ ეტაპზე განიხილება კურიკულუმის კომიტეტისა და ფაკულტეტის საბჭოზე. პროგრამის მოდიფიცირების პროცესში ყურადღება ექცევა სტუდენტთა, დამსაქმებელთა და კურსდამთავრებულთა მოსაზრებებს, რომელთა დაფიქსირებაც ხდება საუნივერსიტეტო გამოკითხვებსა და სამუშაო ჯგუფებში მონაწილეობით.

ფილოსოფიის საბაკალავრო პროგრამის შეფასებისა და მონიტორინგის მიზნით:

- გაანალიზებულია სტუდენტთა აკადემიური მოსწრების მაჩვენებლები;
- ჩატარებულია სტუდენტთა გამოკითხვა სასწავლო პროცესის ორგანიზების შესახებ;
- დადგენილია დამსაქმებელთა კმაყოფილების დონე და საჭიროებები;
- განხორციელებულია კურსდამთავრებულთა გამოკითხვა და შედეგების ანალიზი;

- განხორციელებულია პროგრამის სწავლის შედეგების შეფასება სტუდენტთა მოსაზრებების საფუძველზე;
- პროგრამის მოწვეული და აკადემიური პერსონალის მიერ შეფასებულია საგანმანათლებლო პროგრამის მიზნები, შედეგები, სტრუქტურა, ადამიანური და მატერიალური რესურსები.

დასკვნის სახით შეგვიძლია ვთქვათ, რომ ფილოსოფიის პროგრამის მონიტორინგისა და პერიოდული შეფასების პროცესები დაწესებულებაში ძირითადად გამართულია.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- თვითშეფასების დოკუმენტი;
- საგანმანათლებლო პროგრამების შემუშავების, შეფასებისა და განვითარების უზრუნველყოფის წესი
- აკადემიური და მოწვეული პერსონალის საქმიანობის შეფასების წესი
- სტუდენტთა გამოკითხვები
- კურსდამთავრებულთა გამოკითხვები
- დამსაქმებელთა გამოკითხვები
- პროფესორ-მასწავლებელთა გამოკითხვა
- ინტერვიუს შედეგები.

რეკომენდაციები:

- წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის, რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

- სასურველია, პროგრამის შრომის ბაზრის მოთხოვნებთან შესაბამისობის, განვითარებისა და მაღალკვალიფიციური სპეციალისტების მომზადების მიზნით, სამომავლოდ ჩატარდეს სიღრმისეული კვლევა გამართული მეთოდოლოგიით.

შეფასება

გთხოვთ, შეაფასოთ სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან პროგრამის შესაბამისობა

კომპონენტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

5.3 პროგრამის მონიტორინგი და პერიოდული შეფასება	■	□	□	□

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

5. სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	■
	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	□
	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	□
	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან	□

თანდართული დოკუმენტაცია (არსებობის შემთხვევაში):

უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების სახელწოდება:

ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი

უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება, საფეხური:

ფილოსოფია, საბაკალავრო საფეხური

პროგრამის სტანდარტებთან შესაბამისობა

შეფასება **სტანდარტები**	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

1. საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა	☐	■	☐	☐
2. სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა	■	☐	☐	☐
3. სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა	■	☐	☐	☐
4. სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა	■	☐	☐	☐
5. სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები	■	☐	☐	☐

ხელმოწერები:

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის

სახელი, გვარი, ხელმოწერა

მაკა ლაშხია

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების

სახელი, გვარი, ხელმოწერა

მირიან ებანოიძე



ქრისტინე ჩიხლაძე

მარიამ მაჭავარიანი